ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 10 1883—1909 წ. 30 მაისი

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო, დამსწრესი.—დიდი მწყემსი (მოთხრობა წმიდა იოანნე ოქროპირის დროიდამ) თარგმანი მღვ. იოანნე ლუკიანოვისა.—რას ფიქრობს სინოდი ეჭზარხოსობაზე?,—სროლა მეტეხის ციხეში.—სახელმწიფო სათათბირო—სპარსეთის ამბები.—სო. მეხთა კათალიკოსის ჩასვლა პეტერბურგში და ხელმწიფესთან წარსდგომა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადება.—

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო. *)

გაგრძელება

დიდი ბაასი იყო მოსალოდნელი სემინარიის პარალელურ კლასების შესანახავად მოთხოვნილი ხარჯების გამო, მაგრამ ეს კითხვა თავმჯდომარის მოხერხებით სრულებით ულაპარაკოდ გათავდა. თავსმჯდომარემ, წარმოიდგინეთ, ერთსა და იმავე დროს ორი კურდღელი დაიჭირა: ასიამოვნა დეპუტატებს და მოთხოვნილი ფულების წყაროც გამონახა. საქმე გათავდა კენჭის ყრით. თავსმჯდომარემ, ალბათ დიდი ფიქრის შემდეგ, განიზრახა, რომ ჩამორთმეოდა ბლაღოჩინებს ის მცირე სასყიდელი, რომელიც კანცელარიის შესანახავად დაენიშნა ბლაღოჩინებს ამას წინეთ და რომლის მეხებით მედავითნენი და მთავარ დიაკვნები განთავისუფლდენ კვირაობით და ორკვირაობით ქაღალდების ტარებისა და წერისაგან. თავსმჯდომარემ განიზრახა ამ ჯამაგირის ფულებით დაეკმაყოფილებია სემინარია, ამისათვის დასვა კითხვა: „სემინარიისაგან მოთხოვნილი ფულები სამღვდელოების კრებამ გაისტუმროს ბლაღოჩინების მისაღები ფულებიდან, რომელიც მათ ეძლევათ კანცელარიის შესანახად ეკლესიებიდან". თითო ბლაღოჩინს აქვს დანიშნული 80 მ. თითო ეკლესიიდან შეხვდება საშუალო რიცხვით სამი მანეთი. სადაც საბლაღოჩინო ოცი შტატისაგან შესდგება იქ ოთხი მანეთი შეხვდება გადასახდელად, მაგრამ ღარიბი ეკლესიები არაფერს არ იხდიან. თავსმჯდომარემ დაუყენა კითხვა ასე: „კენჭის ყრა არის იმაზე, რომ სემინარიის პარალელური კლასის შესანახავად საჭიროა სამი ათასი მანეთი მიეცეს ბლაღოჩინების ჯამაგირებიდან, რომელსაც ბლაღოჩინები იღებენ ეკლესიებიდან; ესე იგი, თითო ეკლესიიდან ექვს ექვსი მანეთი. ვისაც სურს, რომ ასე ადვილად მოიშოროს თავიდამ ეს მოთხოვნილება თეთრი კენჭი მისცეს, ვისაც არა სურს—შავი კენჭი. „ძლიერ კარგია, ძლიერ კარგი" მოისმა ხმები.

დეკ. დ—ძე. კენჭის ყრაზე რომ საქმე მიდგება მანობამდისინ კითხვა გამორკვეული უნდა იყოს დაწვლილებით. აქ კრებას ეს კითხვა სრულებით არ გამოურკვევია და თქვენ კი კენჭის ყრას იწყებთ. განა შეიძლება კენჭის ყრა ეგრეთ დახლართულ კითხვებზე? ჯერეთ უნდა გაათავ[illegible] ბლაღოჩინების კანცელარიის [illegible]

[illegible]

*) იხილე „წყემსი" № 9 მაისის 1909 წ.

ფულების მოსპობაზე. იანგარიშეთ კარგად ბლაღოჩინებისაგან მისაღები ფულები დააკმაყოფილებს სემინარიის მოთხოვნილებას? გაიგეთ, შეიტყვეთ ყოველიფერი დაწვლილებით და ჯერეთ ეს ერთი საქმე გაათავეთ და შემდეგ მეორე კითხვაზე გადადით და უკენჭოთაც შეგიძლიათ მისი გათავება. არ იფიქროთ ის, რომ მე დიდათ მიმაჩნდეს კანცელარიის ხარჯათ ოთხმოცი მანეთი. თუ ცალკე ამაზე ყრით ვენჭს, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თავ ახდილ ყუთში ჩავაგდო თეთრი კენჭი ამ შემწეობის მიუღებლობაზე. თქვენ გინდათ, რომ თითო ეკკლესიას გარდაახდევინოთ ექვს ექვსი მანეთი, როდესაც უსაჭიროესს საგნებზე არა აქვსთ-რა. ამ კითხვას წარსულ წელში ჩვენ გავეცით პასუხი და თხოვნა აღძრულია სინოდის წინაშე. ჩვენ ველით პასუხს. დღესაც ველით ამ პასუხს და ვსთხოვთ სინოდს დაუჩქაროს საქმის გადაწყვეტას“.

თავმჯდომარემ არ შეისმინა არაფერი. ყარეს კენჭი, კენჭის ყრაზე უარი განაცხადა დეკ. ღამბაშიძემ. დათვალეს კენჭები და აღმოჩნდა, რომ უმეტესობამ გარდაწყვიტა თითეულ ეკკლესიას გარდახდეს 6 მანეთი და წარედგინოს სემინარიას. დიდ სასიამოვნოდ დაურჩა თავსმჯდომარეს, რომ საქმე გაიტანა და როგორც სურდა ორი კითხვა ერთი კენჭის ყრით გათავდა...

წინეთ მაშა თავსმჯდომარე წინააღმდეგი იყო რაიმე, კანონით შეწყნარებთლი, გადასახადი დადებოდა ეკკლესიას, მაგრამ დღეს დიდ საჭიროდ ხედავს გადასახადი შეაწეროს კანონის წინააღმდეგაც ეკკლესიებს. სხვაგან შემოსავლისაგან % დაუნიშნავდენ ხოლმე და დღეს გაქვს თუ არა ჩვენი საქმე არ არის თავში ქვა იხალე და გარდაიხადეო... კარგი განჩინებაა შენმა მზემ!..

არა ნაკლები ბაასი გამოიწვია სინოდის შეკითხვამ შესახებ საღვთისმეტყველო საგნების დედა ენაზე შესწავლამ. იციან ყველამ, რომ კითხვა აღძრა რამდენჯერმე სამღდელოებამ, რომ საღვთისმეტყველო საგნები სასულიერო სასწავლებლებში ქართულად უნდა იქნეს შესწავლილიო. ამ ხმამ მიაწია როგორც იქნა სინოდამდე. იფიქრეს, იფიქრეს და მოიწერენ: ჰკითხეთ სამღვდელოებას სურსთ თუ არა ქართულს ენაზე ისწავლებოდეს საღვთისმეტყველო საგნებიო, თუ სურს იხდის, თუ არა რაც ხარჯი მოიმატებს ამითო? რუსის მოსწავლეებს რუსულად უნდა ასწავლონო; ქართულ ენაზედ მასწავლებლის ჯამაგირი მეტი უნდა გადიხადონო. კარგად იციან, რომ ზოგიერთებს ფულს ნუ გადაახდევინებ, თორემ დარდი არა აქვს, თუ გინდ თათრულ ენაზე ასწავლონ. იმედი აქვსთ მასწავლებელს არ დაიქირავებენო თუ გინდ, რომ რაღაცა შეუძლებელი იყოს ერთმა მასწავლებელმა ასწავლოს რუსულადაც და ქართულადაც. მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ქართველი აკადემიელი საღვთისმეტყველო საგანს ვერ ასწავლის რადგან იგი ინოროდეცია და ქართულად აღიარებს სარწმუნოებას! ეს ზოგიერთისთვის შეუძლებელია!? განა ქართველმა აკადემიელმა ნაკლებად იცის რუს აკადემიელზე, რომ მათ ვერ შეიძლონ რუსულადაც და ქართულადაც სწავლება? როგორ არა, შეიძლებენ მაგრამ ინოროდცებს შიგა რუსეთში შეუძლიათ სწავლება, თორემ ჩვენში კი არა!...

იმერეთის სამღვდელოების კრებამ სინოდის კითხვას მისცა შემდეგი პასუხი: ქუთაისის სასწავლებელში ერთი რუსი მოსწავლე არ არის ამიტომ ქართველი მასწავლებელის დანიშვნა საღვთისმეტყველო საგნებზე სრულებით არავითარ ხარჯს არ გამოწვევსო და დიდად სასარგებლოაო, თუ ამ საგნებს ქართულს ენაზე ასწავლიანო. თუ რუსული ენის მასწავლებელი რიგიანად ასწავლის რუსულ ენას მაშინ ეს საგნები თითქმის რუსულადაც იქნება შესწავლილი, მაგრამ ის არის უბედურება რომ ჩვენს ოთხ-კლასიან სასწავლებელში მეტად კოჭლობს რუსული ენის ცოდნა. ამ ნაკლის მიზეზად, საუბედუროდ, ისევე ჩვენ და ჩვენი შაგირდები გამოყავსთ დამნაშავედ. მასწავლებელი თავის დროში თავს არ გაიმტყუნებს. რაც უნიჭო უნდა იყოს იგი და დაუდევნელი. მოგეხსენებათ კარგად რომ თუ მასწავლებელი გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობას შაგირდის საქმე დაღუპულია. რომ გულგრილად ეკიდებიან თავის საქმეს ეს ცხადათ და აშკარად სჩანს. ხშირად ინიშნებიან ჭლექიანი მასწავლებელნი, რომელნიც მოდიან ჩვენ სასწავლებლად კი არა, არამედ საექიმოდ. აგერ წინეთ ერთი მასწავლებელი დაინიშნა ბლაღოვეშჩენსკში პეტერბურგიდან; სნეულს როცა იქ მისვლის ვადა გაუთავდა ბლაღოვეშჩენსკიდან წამოვიდა თხოვნა პეტერბურგში, რომ იგი გადაეყვანათ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში პეტერბურგიდან კი არ წასულა. მთელი ნახევარი წელიწადი უმასწავლებლოდ იყვნენ მოსწავლენი. მართალია ხან და ხან შედიოდენ რიგ რიგობით კლასში, მაგრამ როგორი გულით ასწავლიდენ მოწაფეებს და ისიც უფულოთ მკითხველი კარგად მიხვდება. ორ სამ გზის შევიდა კლასში და ბოლოს ბორჯომისკენ წავიდა და კიდეც მოკვდა. როგორ უნდა ესწავლა ამ მასწავლებლის შაგირდებს რუსული? მოვლენ რევიზორები და მასალას ბევრს შოობენ რომ სასწავლებლის დაქვეითების მიზეზად გამოიყვანონ ორიოდე ქართველი მასწავლებელი, რომელიც დარჩენილან კიდევ გადუყვანელი წინა რევიზორებისაგან...

დამსწრე.

დიდი მწყემსი.

(მოთხრობა წმიდა იოანნე ოქროპირის დროიდამ)

თარგმანი

კაკრძელებისა*)

ელლებიხი და კესარი იყვნენ ქრისტიანები, და იმათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფლაბიანესთან შეხვედრამ. ისინი დიდ ხანს მიდიოდნენ ჩუმად, ღრმად-ჩაფიქრებულნი.

—რას ჰფიქრობ შენ?—ჰკითხა კესარიმ.

—ბევრ რამეს. იმპერატორზე, ანტიოქიაზე, ფლაბიანეზე, თითონ ჩემ თავზე. იცი შენ, კესარი, მე მინდოდა ფლაბიანეს ადგილას ყოფნა, წავსულიყავ კონსტანტინეპოლში ღვთის ნების მაუწყებლად თეოდოსისთან, მინამ ამ კონვერტით ანტიოქიაში.

კესარიმ ღრმად ამოიოხრა.

—მეც ეგ ფიქრები მაქვს. მე მხოლოდ ეხლა მიეხვდი, რა დიდი აზრია უფლის ლოცვის სიტყვებში: „იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა"; მაგრამ რა საშინელი დიდი განსხვავებაა ჩვენ ქვეყნად ღვთის ნებისა და კაცის ნების შორის.

აღმოსავლეთის ქვეყანაში ამბები მეტის სისწრაფით ვრცელდებიან; და სანამ ელლებიხი და კესარი მივიდოდნენ ანტიოქიაში, რამდენიმე დღის წინად გავრცელდა კიდეც იქ ხმა, რომ ფლაბიანემ დაიგვიანა, რომ უკვე მოდიან მეფის გამოგზავნილი კაცები, რომელიც სისხლის სასჯელს მოახდენენ.

შიშმა შეიპყრო ქალაქი. ხალხმა წარმოიდგინა უკვე, რომ მეფის გამოგზავნილები ახლოს არიან, და აი საცაა დაიწყება სასჯელი. ამბობდნენ, რომ ახალი ჯარები მოახლოვდნენ დადაიწყება სულ-ერთიანად ხალხის ხოცვა. ყველანი გაიქცნენ დიდ ეკკლესიისაკენ, რომ იქ დამალულიყვნენ, თავი შეეფარებინათ საკურთხეველში. დიდი ხალხისა გამო ვიწროობა იყო და ბევრს სულიც შეუგუბდა, მაგრამ ხალხი თან და თან აწვებოდა და მეტის-მეტი ვიწროობა იყო.

მოვიდა ქალაქის გამგებელი, და დაუწყო დამშვიდება თავ-ზარ-დაცემულ ხალხს. იმან შეჰფიცა, რომ ჯერ-ჯერობით არავითარი განსაცდელი არ არის, რომ ჯერ არაფერი ამბავი არ მოსულა და ახალ ჯარებზე ხომ სულ არაფერი გაუგონია. ხალხი დამშვიდდა და წავიდ-წამოვიდა.

იოანნემ მაშინ მიმართა მსმენელებს ახალის სიტყვით. ის ამბობდა:

—მე უკვე მადლობა გადავუხადე ქალაქის გამგებელს მისი მზრუნველობისათვის, რომ ის წარმართი, მოვიდა აქ ეკკლესიაში, დაგამშვიდათ და იმედი მოგცათ, მაგრამ თქვენ მაგიერად მე შემრცხვა. მე აღარ ვიცოდი, სად დავმალულიყავი სირცხვილისაგან. ვწითლდებოდი იმის გამო, რომ ამდენი საეკკლესიო ქადაგების და დარიგების შემდეგ, თქვენთვის საჭირო გახდა გარეშე ნუგეში საერო მთავრობის შთაგონება. რა აზრი აქვს ამ შემთხვევაში თქვენს აქ შეკრებას, და ჩემი ქადაგების ყურის გდებას!?.. სმენის ალერსისთვის ხომ არა? ყურთასმენის დასაკმაყოფილებლად ხომ არა? თუ რომ თქვენ აქ დალევთ სახარების ცხოველ წყალს, შინ-კი ცარიელები მიხვალთ, ცხოვრებაში იმოქმედებთ მშრალის სულით,—მაშინ რა სარგებლობა იქნება? მიჩვენე მებრძოლი არა სწავლის

*) იხილე „მწყემსი" № 9 1909 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილს, არამედ საბრძოლველ ადგილზე. მიჩვენე აგრეთვე მოწიწება არა მარტო სმენის დროს, არამედ მოქმედების დროსაც.

სად არის თქვენი სიმტკიცე სულისა? თქვენი ღირსება ქრისტიანისა? თქვენი სარწმუნოება ღვთისა-მიმართ და მის ნებაზე მინდობა? თქვენთვის ქალაქის გამგებლის სიტყვას უფრო მეტი ძალა და გავლენა ჰქონია, მინამ ქვეყნის გამჩენის სიტყვას. წყვდიადი თქვენის სინიდისისა და დაბნელება თქვენ სულში ღვთის სიმართლის ბრწყინვალე სახისა, ნაკლებად გაშფოთებენ თქვენ, მინამ ქალაქის გამგებლის სახეზე გამოხატული უკმაყოფილება თქვენზე. თქვენ გეშინიანთ არა სულის სივიწროვისა და არა ცოდვის ბორკილისა, არამედ საპყრობილის ბორკილებისა. თქვენ გეშინიანთ სხეულის სიკვდილისა მაშინ, როდესაც ყოველდღე კვდებით სულით, და უზრუნველად ჰკლავთ თქვენში ღმერთსა. შეხედეთ იმას, ვინც სწერდა თავის თავზე: „პავლე კრული ქრისტე იესოსი“ (ფილიმ. 1) და ისწავეთ მისგან. იმისათვის საშინელება იყო მხოლოდ ერთი რამ: რომ არ განყენებულიყო ქრისტესაგან ყოველივე სხვა რამე, რაც ამ საგანს არ ეკუთვნოდა, არ მიაჩნდა მას არც სამწუხაროდ არც სასიამოვნოდ. მბრძანებლები და ხალხები, გულის-წყრომით აშფოთებულნი, იმას ბუზებად მიაჩნდა, ხოლო სიკვდილი, ტანჯვა, სასჯელი— ბავშვურ სათამაშოდ, იმის გარდა, როცა მათ ითმენდა ქრისტესათვის: მაშინ-კი ამეებითაც ალტაცებული იყო, და უხაროდა ბორკილი ისე, როგორც მეფეც არ შეჰხარის თავის ოქროს გვირგვინს, ის საპყრობილეშიაც ისე სცხოვრობდა, როგორც თვით ზეცაზე. ჭრილობასაც და ცემასაც მომეტებულის სიხარულით ღებულობდა. მინამ სხვები საჩუქარს ღებულობენ. ამისათვის, როცა ის ფესტისთან სამსჯავროზე მივიდა, იმან განცვიფრებით დაატყვევა თვით მსაჯული და ისე გამოვიდა იმისგან. ესე უნდა მომხდარიყო დღესაც. ქალაქის გამგებელიც უნდა გაგეკვირვებინათ თქვენის პატიოსნურის სიმამაცით და თქვენ უნდა გესწავლებინათ მისთვის კეთილი მაგალითი; პირიქით, ის გასწავლიდა თქვენ, ხან გამშვიდებდათ, ხან ჰკიცხავდა თქვენს უდროვო და უგუნურ შიშს. რაღა თვალით შევხედავთ ჩვენ ქრისტიანები ურწმუნოებს, როდესაც ჩვენ თვითონ მშიშარანი ვართ? რაღა ენით ვეტყვით მათ, არ ეშინოდეთ უბედურობისა, როდესაც ჩვენ თითონ ამ შემთხვევაში კურდღელზე მშიშარა გამოვჩნდით?

მსმენელნი შეშფოთებულნი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებში, და დამშვიდებით ელოდნენ იმპერატორისაგან გამოგზავნილი კაცების მოსვლას, ჩოჩქოლი მაინც არა სცხრებოდა. ყოველ დღე ახალ-ახალი ხმა მოდიოდა, და ანტიოქია გადადიოდა შიშისაგან იმედზე და იმედისაგან ახალ მოუსვენრობაზე. ბოლოს, მოვიდნენ ელლებიხი და კესარი.

ესენი შემოვიდნენ ქალაქში მთელის ჯარებით. მთელი ანტიოქია შეძრწუნდა. ქუჩები სავსე იყო ხალხით, მაგრამ ყველანი ჩუმად იყვნენ. ხალხი გრძნობდა, რომ უბედურება ახლოვდება, რომ იგი უკვე კარს მოადგა; მხოლოდ არ იცოდა ვის და როგორ მოსწყვედს.

მოელოდნენ იმას, რაც ყველაზე ცუდია.

—რა ამბავია?—ჰკითხავდნენ ელლებიხსა და კესარის მათი ნაცნობები, თანამოსამსახურეები, —როგორ შეხედა საქმეს იმპერატორმა?

—ცუდად. იმპერატორი დიდათ განრისხდა.

—რა სასჯელია?

—არ ვიცით ჩვენ თვითონ. ბრძანება დაბეჭდილია, ნაბძანები გვაქვსის გაიხსნას და წაკითხულ იქმნას მოედანზე, ვფიქრობთ, საკეთილო არ იქნება.

ათასეულმა ხალხმა სამგლოვიარო ტანისამოსში და გაფითრებულის სახეებით, გაავსო მოედანი პრეტორიის წინ. ელლებიხი და კესარი ავიდნენ ამაღლებულ ადგილზე, გახსნეს კონვერტი და დაიწყეს კითხვა:

„1) ანტიოქიას ერთმევა ყველა მისი განსაკუთრებითი უფლებები და უნდა ჩაირიცხოს უბრალო ქალაქების რიცხვში. აღმოსავლეთის სატახტო ქალაქად ხდება ლაოდიკია.

„2) თეატრები, ცირკი, აბანოები და სხვა გასართობი ადგილები უნდა გაუქმდეს. დაფნა, ეს სიამაყე ანტიოქიისა, უნდა დადუმდეს.

„3) საწყალსა და ღარიბ ხალხს აღარ მიეცემა უფასოდ პური, როგორც აქამდის იყო, მსგავსად კონსტანტინეპოლის და რომის ქალაქებისა.

„4) მოწერილია ახალი და სასტიკი გამოძიება საქმისა. ყველა გავლენიანი კაცები ქალაქისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭერილ და შებორკილებულ იქმნან. ვინც დამნაშავე აღმოჩნდება, ფიცხლავ სასჯელს მიეცეს.“

თვითეული დადგენილება გაისმოდა ხალხში, როგორც მეხის გრგვინა.

—ანტიოქია სატახტო ქალაქი აღარ არის! სირცხვილი! დამცირება მთელი აღმოსავლეთის წინაშე.

—დახურულია აბანოები, ცირკი, თეატრები! წართმეულია ყველა სიხარული!

—აღარ დაურიგებენ პურს! რაღა ეშველება ათას ხალხს, შიმშილით სიკვდილი მოელის!

—და ბოლოს ყველაზე უფრო ცუდი საპყრობილე, სასჯელი!

მოედანზე გაისმა ქვითინი. ბევრი ტანისამოს იგლეჯდა, გულში ხელს იცემდა, თმას იგლეჯდა თავზე. ჯარი ამ დროს შემოეხვია ხალხს და მაბეზღარების ჩვენებით იქვე ბევრი დაატუსაღეს. ჯარის სხვა ნაწილები წავიდნენ სახლებში და დაუწყეს დატუსაღება ხალხს ეკვით. საღამომდის საპატიმროები აავსეს. დაიწყეს გამოკითხვა, და იქვე ბევრს გადაუწყვიტეს სიკვდილით სასჯელი.

ღამე მოედანზე აკეთებდნენ სხვა და სხვა ნაირ მოწყობილებას სიკვდილით სასჯელის სისრულეში მოსაყვანად: სდგამდნენ დიდ ბოძებს, ამზადებდნენ კოცონებს და სხვას.

გათენდა დილა. ცა მოღრუბლული იყო. ქალაქს შავი ღრუბლები ჩამოეფარა და თითქოს მზად იყვნენ ცრემლებად დაღვრილიყვნენ.

ელლებიხი და კესერი გამოვიდნენ ნამესტნიკის სასახლიდგან და უმთავრესი ქუჩით გასწიეს იმ ადგილისაკენ, სადაც სასჯელი უნდა მომხდარიყო. ქუჩა სრულიად ცარიელი იყო; არავინ არ მოსჩანდა. ისმოდა მხოლოდ ფეხის ხმა ელლებიხის და კესარის სალდათებისა.

უცებ საიდგანღაც შორიდგან მოისმა გალობა რას გალობდნენ, იმის გარჩევა არ შეიძლებოდა, მაგრამ ისმოდა, რომ ბევრი ხმები გალობდნენ. გალობა ხან წყნარი და ხან ამაღლებულიყო. თითქოს რიგად გალობდნენ: ზოგი პირველს ამბობდა, ზოგი ბანს ეუბნებოდა.

რა გალობაა? — მხრების აწევით იკითხა ელლებიხმა. თითქოს დრო არ არის ეხლა გალობისა!

კესარიმ ყური დაუგდო:

—ლოცვას ჰგავს. ხომ არავის ასაფლავებენ?

—რაღაც ძალიან ხმა მაღლაა. ბევრი ხმებია.

გალობა თან და თან ახლოვდებოდა. მოდიოდა მთებიდგან. ბოლოს გარჩევით მოისმა და მგალობელნიც გამოჩნდნენ. ისინი მოდიოდნენ წყობისად და უმთავრესი ქუჩის ბოლო მთლად გაავსეს.

მეფის წარჩინებული კაცების და მათი ცხენოსანი ჯარის მედიდურ დანახვაზე მგალობელნი არ გაჩერებულან. ისინი მოდიოდნენ პირ-და-პირ გალობით ელლებიხის და კესარის შესახვედრად.

გაკვირვებულნი მეფის წარჩინებული კაცები გაჩერდნენ და ჰკითხულობდენ:

—რას უნდა ნიშნავდეს ეს? და რას გალობენ ისინი?

არავის არა ესმოდარა. ცოტათი ვინმემ თუ გაარჩია გალობა. გალობდნენ ფსალმუნს ადგილობრივ სირიულ ენაზე.

წინ მოდიოდნენ ჯგუფად თმა გაწეწილი, ქუდ-მოხდილი, ძონძებში ჩაცმული მოხუცებულები, შეწუხებულის და მზიდგან დამწვარი სახით. ისინი ამოხლანძულის ხმით გალობდნენ:

„ნუ ესავთ მთავართა ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხოვრება“ (ფსალმ. 145). ალლილუია!

ხალხმა ერთ-ხმად მისცა ბანი და ათასმა ხმამ ერთად შესძახა:

—ალლილუია!

და როდესაც ეს „ალლილუია წინა მდგომ ხალხში გვრგვინვით დაწყობილი უკან მდგომებში გავიდა და იქ ჩაჩუმდა, მოხუცებულები წინ განაგრძობდნენ ფსალმუნს:

„გამოვიდის სული მისი, და მიიქცის მუნვე მიწად მისდა, მას დღესა შინა წარსწყმდიან ყოველნი ზრახვანი მისნი.“ ალლილუია.

—ალლილუია! ალლილუია! ალლილუია! ხელ-ახლად განიმეორა ქვითინით ათასმა ხმამ.

„ნეტარ არს, რომლისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისა, და სასოება მისი არს უფლისა მიმართ ღვთისა მისისა, რომელმან ჰქმნა ცანი და ქვეყანა, ზღვა და ყოველი რა არს მას შინა, რომელი იმარხავნ ჭეშმარიტებასა უკუნისამდე, ყვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი ვნებულთა, და სცის საზრდელი მშიერთა.“ ალლილუია!

ხალხში ქუხილივით გაისმა:

—ალლილუია!

„დიდ არს უფალი ჩვენი, დიდ არს ძალი მისი, და გულის ხმისა მისისა არა არს რიცხვი. შეიწყნარნის მშვიდნი უფალმან, ხოლო დაამდაბლნის ცოდვილნი მიწადმდე. აკურთხევდით უფალსა აღსარებითა, და უგალობდით ღმერთსა ჩვენსა ებნითა, რომელმან შემოსნის ცანი ღრუბლითა, და განუმზადის წვიმა ქვეყანასა, რომალმან აღმოაცენის თივა მთათა, და მწვანე სამსახურებელად კაცთა; რომელმან მოსცის საზრდელი პირუტყვთა, და მართვეთა ყორნისათა რომელნი ხადიან მას.“ ალლილუია?

და ხალხში გაისმა ახლად:

—ალლილუია! ალლილუია! ალლილუია!

ელლებიხი და კესარი იდგნენ გაშტერებულები. ამ „ალლილუიამ“, რომელიც გვრგვინვით მოისმოდა ქუჩის თავიდან, უცებ თითქოს დაავიწყა იმათ თეოდოსის ბრძანებაც, გუშინდელი ხალხის ტანჯვაც და მომავალი სასჯელიც. იმათ უნდოდათ კიდევ და კიდევ გაეგონათ ათას-ხმოვანი „ალლილუია!“

—სად მიდიან ისინი?—იკითხა ცხენოსან ჯარის უფროსმა, რომელიც კესარის გვერდით იდგა. ისინი გზას გადაგვილობავენ მოედნისკენ, უნდა გავაჩქაროთ.

—მართლაც და, რას გაჩერებულვართ? წარმოსთქვა ელლებიხმა,—წინ!

მოხუცნი განაგრძნობდნენ გალობას:

„არა თუ ძლიერება ცხენისა უნდა, არცა სხვილ ბარკალნი მამა-კაცისანი სთნდეს. არამედ სთნდეს უფალსა მოშიშნი მისნი, და რომელნი ესვენ წყალობათა მისთა.“

ეხლა მგალობლები ახლოს იყვნენ მოსულნი. შეიძლებოდა გარჩევა წინ მდგომთა. განსაცვიფრებელი სანახავი გამოჩნდა. ზოგი, ჯოხზე დაყრდნობილი, ზოგიც ისე, მოდიოდნენ გამხდარი, თეთრ გძელ-წვერა, მოხუცებულები. დაღმენჭილი პირისახე, მწვავე მზისაგან და მთების ქარიშხალისაგან მთლად გაშავებოდათ. ასეთივე გაშავებული ხელ-ფეხი ტიტველა ჰქონდათ. გამხდარი ბეჭები დაფარული ჰქონდათ ან ცხვრის ტყავით, ან აქლემის ბალნის მსხვილ ნაქსოვის ნაჭრით.

ესენი იყვნენ განდეგილები, მახლობელ მთებში მცხოვრებნი. ისინი გაშორებოდნენ ცხოვრებას, მარტოდ სცხოვრებდნენ მთის წვერების მიუვალ გამოქვაბულებში, და მთლად სულის ზრუნვაში წასულიყვნენ. მთების მყუდროებაში, მღვიმეების წყვდიადში, ისინი თავის სულს უფიქრდებოდნენ, და მის სიღრმეში ეძებდნენ ღმერთსა, როგორც სხვები იმავე მთებში, მხოლოდ მიწის სიღრმეში ეძებდნენ ოქროსა და ძვირფას ქვებს.

იმათ დიდი ხნის განმავლობაში არ ენახათ ანტიოქიის ქუჩაბი. იმათ არაფერი საქმე ჰქონდათ აქ. ისინი მეტნი იყვნენ ქალაქში, უცხონი იყვნენ ქალაქის ჟრიამულისა. თავის მხრით ქალაქიც უცხო იყო მათთვის.

ეხლა-კი სხვა საქმეა. ქალაქს სიკვდილით დაღუპვა მოელოდა. ხალხი სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი, ვისაც შეეძლო მთებში გაიხიზნა და სთხოვდა განდეგილებს თავშესაფარს. განდეგილებმა გაიგეს-რა მეფის რისხვის მაუწყებლების მოსვლა, დანიშნულ სასჯელის ამბავი, გადასყვიტეს თავიანთ მთებიდან ანტიოქიაში ჩამოსვლა.

—წავიდეთ ჩვენ უბედურ ძმებთან, რომელთაც სიკვდილი აქვსთ გადაწყვეტილი,—ეუბნებოდნენ ისინ ერთმანეთს.

—ვსთხოვოთ მათ, პატიება, და თუ ჩვენი თხოვნა უნაყოფოდ დარჩება, ჩვენც მათთან ერთად დავიხოცნეთ.

ანტიოქელებმა რომ გაიგეს განდეგილების მოახლოვება, გამოვიდნენ მათ შესახვედრად, და შემდეგ მათთან ერთად წავიდნენ გზის გადასაჭრელად ელლებიხის და კესარისა.

უმთავრესი ქუჩის შესახვევში სასჯელების მოედანზე შეხვდნენ ერთმანეთს: ერთის მხრივ, წარჩინებული სამსახურის ხალხი, მათის თანამხლებლებით და მეორეს მხრივ, მოხუცებულ-განდეგილები ხალხით. გალობა დასცხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ფიქრობს სინოდი ექსარხოსობაზე?

(ჟურნალ გაზეთებიდან)

რუსეთის გაზეთებმა ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირეს იმ „რეფორმებზე“ წერას, რომელიც განუზრახავს სინოდს საქართველოს საეკლესიოში. ამ აზრით სინოდთან, მოსკოვის მიტროპოლიტის ვლადიმერის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისიაც შესდგა. მემარჯვენე გაზეთები სიხარულით ეგებებიან სინოდის განზრახვას ამ საქმეში. აი, სხვათა შორის, რასა სწერს, ოქტომბრისტების გაზეთი „გოლოს მოსკვი“:

სინოდისაგან შემდგარმა კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა. თავისი მოხსენება კომისიამ სინოდს წარუდგინა. სინოდს არსებითად არ განუხილავს კომისიის დადგენილებანი და მხოლოდ დაადგინა, შეეკითხოს საეკლესიოს რეორგანიზაციის შესახებ კავკასიის ნამესტნიკს, ხოლო იმისი გამორკვევა, თუ რა ხარჯი მოჰყვება საეკლესიოს რეორგანიზაციას, მიანდოს სინოდის სამეურნეო ნაწილის გამგეობას.

მიდებული ცნობებით, კომისიას საკირო უცვნია ძირითადი რეორგანიზაცია საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა. კომისიამ საკირო სცნო ხელ-ახლად განაწილდეს ეპარქიები კავკასიაში. განზრახულია მთელი კავკასია კახეთს სამ დამოუკიდებელ ეპარქიად. ამასთან ტფილისში მთავარ-ეპისკოპოსის კათედრა იქნება, სინოდის ამ განზრახვამ, როგორც კავკასიიდან მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, გამოიწვია უკმაყოფილება ქართველ სამღვდელოებისა და საგლობრივ ავტონომისტებისა, რომელნიც უკვე მართვენ კრებებს, ადგენენ პროექტებს და ეძებენ იმ ზომებს, რომელთა შეხებითაც შესაძლებელი იქნება სინოდის მაერ განზრახულ რეფორმასთან ბრძოლა. ამათის აზრით, სინოდი ძირს უთხრის საქართველოს ეკლესიის „ავტონომიას“. აშკარაა, ამ წრეების ფიქრით, ისეთი საქმეები, როგორც არის ექსარხოსის მკვლელობა, არაფერია. რომ ეს საქმე უშედეგოდ ჩავლილა და რომ არ ეცდებოდნენ შემდეგში მაინც ასეთ მკვლელობის თავიდან აცილებას ეპარქიის, საკლისა და სასულიერო საკითხებდეგად.

უწმ. სინოდისთვის, რა თქმა უნდა, არავითარ საკირეებს არ წარმოადგენს ეკლესიის რეფორმის საქმეებში ანგარიში გაუწიოს კერძო პირებისა და ორგანიზაციების ბოლიტიკურ სურვილებსა და მისწრაფებებს, ამიტომ საფიქრებელია, განზრახული რეორგანიზაცია ეკლესიის მართვა-გამგეობისა ნასვეარად კი არა, სრულიად იქნება განხორციელებული, თუ, რასაკვირველია, საფინანსო ხასათის მოსაზრებანი არ შეუძლიან ხელს.

რომ სინოდი და აგრეთვე სხვანი არავითარ ანგარიშს არ უწევენ ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილებს, ეს არ ახალია-ძველია და ყველამ კარგად იცის, ამიტომ შიში გაზეთის ამ მხრივ უსაფუძლოა, დამშვიდებული ბრძანდებოდენ—სინოდი ისეთს არაფერს გააკეთებს, რომ სასიამოვნო იქნება ხალხისთვის. პარტიები ამ შემთხვევაში სიტყვის მასალად არიან მოყვანილნი—მათ ხმაც არ ამოუღიათ.

სროლა მეტეხის ციხეში

გუშინ წინ, პარასკევს საღამოთი, მეტეხის ციხის გარშემო, მთელ ავლაბარში და მტკვრის გაღმა გამოღმა საშინელი სროლის ხმა გაისმა. კაცს ეგონებოდა, მტრის ჯარი შემოსულა, ბრძოლაოო. ხალხი, რასაკვირველია, დაფრთხა. ჩაკეტეს დუქნები, სახლები. ყველა გზა-დაბნეული გარბოდა. შიშს აორკეცებდა საქმის ვითარების არ ცოდნა. ზოგი ამბობდა, მეტეხის ციხე ააფეთქესო, ზოგი კიდევ—რას.

სროლის ხმა პირველად მოისმა მეტეხის ციხიდგან ასე საღამოს 6 საათზე, მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. ყველა მხრიდგან, მეტეხის ციხეს მიაშურეს. პირველსროლას მოჰყვა მეორე, მესამე. გაჩნდნენ ჯარის კაცებიც; რამდენჯერმე გაისმა ერთბაში სროლა და გავიდა თითქმის ორი საათი, რომ მეტეხის ციხეში, როგორც იყო, სიწყნარე ჩამოვარდა. მთელ საღამოს ერთი ჩოჩქოლი და ლაპარაკი იყო, მაგრამ არაკინ არ იცოდა, რა მოხდა და რა არი. ძალიან შეშინდნენ მეტეხის ციხეში დაპატიმრებულთა პატრონები. მხოლოდ გუშინ დილით გამოირკვა რომ მეტეხის ციხეში დიდი შეტაკება მოსვლიათ ხუთ დასახჩობად გამ-

ზადებულ პატ-მარს და მეტეხის ციხის მცველებს, ზედამხედველებსა და პოლიციას.

რამდენადაც ჩვენ შევკრიბეთ ცნობები, საქმე ასე მომხდარა. საღამოს ხუთ საათზე ციხის ეზოში გამოუყვანიათ პატიმარნი ალიკო მაგომა-იბრაგიმ-ოღლი, ულუხან საფარ-მაგომა-ოღლი, ახმედ საფარ-მაგომა-ოღლი, აბდურახმან მაგომედ-ოღლი და ალექსანდრე ყულიევი, რომელთაც სიკვდილი ჰქონიათ გადაწყვეტილი. სასეირნოდ გამოსულ პატიმრებს იცავდიენ თურმე უფროსი მეთვალყურე ობიდინიკოვი, უმცროსი მეთვალყურე გრიშკო და ოთხი ჯაარის-კაცი მინგრელსკის პოლკისა. პატიმრებს, როგორც ეტყობა, წინადვე განუზრახავთ მცველებზე თავდასხმა და გაქცევა. მოულოდნელად მისცვივიან უფროს მეთვალყურეს ობიდინიკოვს და წაურთმევიათ ხმალი, წაუვლიათ ყელში ხელი და დახრჩობა მოუნდომებიათ. ობიდნიკოვი გაქცეულა საკატორგო პატიმართა განყოფილებისაკენ, პატიმარნი დასდევნებიან, მაგრამ მალე ჯარის-კაცებს გადაუღობნიათ მათთვის გზა და სროლა დაუწყიათ. ამ დროს პოლიტიკურთა განყოფილების დერეფნიდან რევოლვერით ხელში გამოგარდნილა ამ განყოფილების ზედამხედველი გრიშკევიჩი, მაგრამ იგი მალე სასიკვდილოდ დაჭრილა. გაქცეულ ობიდინიკოვს დაჭრილ გრიშკევიჩისთვის გამოუტაცნია რევოლვერი, უსროლია ალექსანდრე ყულიევისთვის, რომელიც მას კვალ დ-კვალ მისდევდე, და დაუჭრია. ამის შემდეგ იგივე ყულიევი და ულუხან საფარ-მაგომა-ოღლი შევარდნილან საკატორგე პატიმართა განყოფილების დერეფანში, და სცემიან დარაჯს ივანე დუბოგრიზოს; ულუხან- ოღლის დაუკრავს ხმალი მისთვის და იქვე უგრძნობლად დაუცია. მერე ამ პატიმარს გამოუტაცნია დარაჯისთვის თოფი და პატრონები, შევარდნილა მეორე დერეფანში და იქ ერთ კუთხეში თოფ-მომიზნებული ჩასაფრებულა. ვინც ამ ამ ადგილს მიუახლოვდებოდა იგი თოფს ესროდა თურმე. მეორესთვის, ალექსანდრე ყულიევისთვის საკატორგო პატიმართა განყოფილების დერეფანში მიუსწრიათ, უსროლიათ და მოუკლავთ.

ესენი რომ ამ ამბავში იყვნენ, დანარჩენი პატიმარნი, ახმედ-საფარ-მაგომა-ოღლი, ალექო იბრაგიმ-მაგომა-ოღლი და აბდურახმან მაგომედ-ოღლი გაქცეულან იმ განყოფილებისაკენ, სადაც სასიკვდილოდ დასჯილი პატიმრები არიან. ამ განყოფილების ზედამხედველის სარდიკასთვის მ წრაფლ გამოუგლეჯნიათ რევოლვერი, დაუხლიათ და იქვე მოუკლავთ. იქვე დაუჭრიათ მსუბუქად ჯარის-კაცი ინდიუკოვი და იმისთვისაც წაურთმევიათ თოფი, შემდეგ აქა-იქ ჩასაფრებულან და აუტეხნიათ სროლა. ყველა ზემოდ აწერილი ისე სწრაფად და თვალის დახამხამებაზე მომხდარა, რომ მცველებსა და დარაჯებს ვერა მოუხერხებიათ-რა.

ეს ამბავი ხელად აცნობეს ქალაქის კომენდანტს, პოლიციმეისტერს და სხვებს. მალე გამოჩნდნენ კომენდანტი და პოლიციმეისტერი. მოიყვანეს აგრეთვე ჯარის კაცები და მეტეხს გარედან ალყა შემოარტყეს. მიიღეს ზომები ჩასაფრებულების შესაპყრობად, მაგრამ ისინი არ დანებდნენ და ყველანი დაიხოცნენ. პირველად განიზრახეს ჩასაფრებულ ულუხან-საფარ-მაგომა ოღლის შეპყრობა. ერთს კუთხეში მიმალულ ულუხან-ოღლის დერეფნის კარები მიეხურა და იქიდან უთვალთვალებდა. როგორც კი მისულან კარები გამოუწეიათ, ულუხანს თოფი გაუსროლია, მაგრამ აუცდენია. ჩასაფრებულს რამდენჯერმე გაუსროლია ასე თოფი, მაგრამ ვერავისთვის ვერ მოურტყამს. მერე ულუხან-საფარი უცბად გამოვარდნილა საფარიდან და გაქანებულა იქით, სადაც კამენდანტი და სხვა აფიცრები მდგარან, მაგრამ დაუხლიათ მისთვის რევოლვერი და იქვე მოუკლავთ.

არ დანებებულა არც დანარჩენი სამი კაცი. ესენიც, ჩასაფრებულნი, ისროდენ და ახლო არავის უშვებდნენ. გადაუწყვეტნიათ მეორე კუთხიდან მოვლა. მართლაც, გამოუმტვრევიათ ფანჯარა შესულა აქედან ორი ბოქაული და აუტეხიათ სროლა. დაჭრილი ჯარის-კაცი საველი კოვალენკო გაგზავნეს მიხეილის საავამტყოფოში. ჯარის-კაცს სროლის დროს სამივე ჩასაფრებული მოუკლავთ. დახოცილებს აღმოაჩნდათ რევოლვერი და 6 ბილზი.

პატიმრებთან ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრენ საპატიმროს ზედამხედველები ისაკოვი და გრიშკო რაღაც იარაღი აქვს თავში დაკრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სათათბირო

გადასვლა ერთი სარწმუნოებიდან მეორეში.

წარილმან კანონ-პროექტების მიღების შემდეგ სათათბირო 22 მაისის სხდომაზე შეუდგა დიდად საყურადღებო კანონ-პროექტის განხილვას. ამ კანონ-პროექტით უნდა შეიცვალოს ის ძველი კანონები, რომელიც შეეხება ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლას. სათათბირომ კომისიას წარუდგინა თავისი მოხსენება. კანონ-პროექტის შესახებ. მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტში ნათქვამია: ქრისტიანი, რომელიც 21 წლისა შესრულდება და რომელიც მოისურვებს იმ არა ქრისტიანულ სარწმუნოებაში გადასვლას, რომელსაც წინად ის ან მისი დედ-მამა, ან წინაპარები ეკუთვნოდნენ, უნდა გამორიცხულ იქმნას ქრისტიანთა რიცხვიდანაო. კომისიამ ეს რედაქცია უარ-ჰყო და კანონ-პროექტში შეიტანა ასეთი რედაქცია: ყველას, ვინც 21 წლისა შესრულდება უფლება აქვს გადავიდეს იმ სარწაუნოებაში, რომელსაც მოისურვებს, გარდა იმისა, რომლის წევრობა ისჯება სისხლის სამართლით.

როგორცა ჰხედავთ, ცვლილება დიდია და კიდეც ამიტომ შეშფოთდნენ მთავრობის წევრნი და მემარჯვენენი. ამ სხდომას დაესწრო თითქმის ყველა მინისტრი. ჩაეწერა 81 ორატორი.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა. მან ძალიან დიდ ხანს ილაპარაკა. იცავდა სამინისტროს პროექტს და უარს ჰყოფდა კომისიის მიერ შეტანილ ცვლილებებს. ყოვლად შეუძლებელიაო დაკანონება თავისუფლად გადასვლის ერთი სარწმუნოებიდან მეორეში. ასეთი სარწმუნოებრივი თავისუფლება არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს და, გარდა ამისა, იგი არ შეეფერება „რუსულ სულს, რუსულ ხასიათსაო“. ნუ დაივიწყებთო, სთქვა ორჯელ სტოლიპინმა, რომ ეს კანონი უნდა წარედგინოს რუსის ხელმწიფეს, რომელიც ას მილიონიან რუსის ხალხისთვის იყო, არის და იქნება მართლ-მადიდებელი მეფეო.

საინტერესოა, რომ ამ კანონ-პროექტს ოქტომბრისტების ჰარტია ისევე მტკიცედ იცავს, როგორც სტარო-ობრიადცების შესახებ კანონ-პროექტს. ოქტომბრისტების ორატორმა ფრაქციის სახელითი პირდაპირ განაცხადა, რომ სარწმუნოების მიღების და გამოცვლის საქმეში არავითარი შეზღუდვა და შევიწროვება არ უნდა იყოსო.

ილაპარაკეს მემარჯვენე ეპისკოპოსებმა ევლოგიმ და მიტროფანემ, ისინი, რა თქმა უნდა, ცეცხლს აფრქვევდნენ იმ ცვლილებების გამო, რომელიც კომისიამ შეიტანა.

კადეტების ტრუდოვიკებისა და სოც.-დემოკრატების ორატორებმა მხნედ დაუჭირეს მხარი კომისიის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს.

72 ორატორმა კიდევ უნდა წარმოსთქვას სიტყვა. ეხლავე აშკარადა სჩანს, რომ სათათბიროს უმრავლესობა კომისიის მიერ შემუშავებულ ცვლილებას დაუჭერს მხარს. მთავრობას კი, როგორც ეტყობა, არ უნდა ამ ცვლილების მიღება. ვნახოთ, როგორ გათავდება საქმე.

23 და 24 მაისის სხდომებიც სათათბირომ იმ კანონ-პროექტს მოანდომა, რომელიც შეეხება ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლას.

22 მაისის სხდომის დასასრულს (დეპეშამ ეხლა გადმოგვცა) მემარჯვენეთა ფრაქციამ განცხადება შეიტანა—დაჩქარეს სათათბირომ განხილვა ოპოზიციის მიერ შეტანილ შეკითხვისა, რომელიც შეეხება ეშმარიტ რუსთა კავშირის მოქმედებასაო. განცხადებასთან ერთად ტიმოშკინმა განაცხადა—დაჩქარეთ შეკეთხვის განხილვა, რომ ყველას დაუმტკიცოთ კავშირის სიწმინდეო. დაადგინეს, ეს შეკითხვა განიხილონ ოთხშაბათს.

ზემოხსენებულ კანონ-პროექტის შესახებ 23 მაისის სხდომაზე ბევრი სიტყვა წარმოითქვა. ილაპარაკეს მემარჯვენეებმაც. სხვათა შორის კარაულოვმა გაიხსენა ის წამება, რომელიც ხოლმის მცხოვრებთ განიცადეს. ხოლმშიო, სთქვა მან, მართლმადიდებლობა ქადაგებით და სიყვარულით კი არ გაავრცელეს, არამედ დრაგუნის მათრახითაო სთქვეს სიტყვები აგრეთვე კადეტმა მილიუკოვმა, ს.-დემოკრატმა პოკროვსკიმ. ბოლოს სკანდალიც მოხდა.

ამ სხდომაზე თავმჯდომარეობდა მეიენდორფი. სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა მემარჯვენემ ეპისკოპოსმა ევლოგიმ. მისი სიტყვა,

როგორც ყოველთვის, სიძულვილით იყო სავსე. სიტყვის დასასრულ მან სთქვა: მე კაცთმოძულეს მეძახიან, რადგან ხოლმის რუსებს ვიცავ პოლონელ ძალმომრეობისაგან. არ მიკვირს, როცა ამას ამბობენ პოლონელები, რადგან პირი იმას ეწვის, ვისაც პილპილი უჭამია, მაგრამ რადგან ამასვე იმეორებენ რუსები, თუნდაც კადეტების ფეხის ხმის ამყოლნი, ვიტყვი, რომ ეს საზიზღრობაა, ფარისევლობა, ორპირობა და სიმართლის მასხარად აგდება; ვეტყვი მათ: სირცხვილი თქვენ, ბატონებო (ცხარე ტაში მარჯვნივ).

თავმჯდომარემ უთხრა ევლოგის: თქვენო უსამღვდელოესობავ! უკანასკნელ სიტყვების გამო, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გთხოვოთ წესიერება დაიცვათ.

სთქვა თუ არა ეს თავმჯდომარემ, მარჯვენა მხარეს, ერთი ყვირილი და ხმაურობა გაისმა. მემარჯვენენი აბრახუნებდნენ პიუპიტრებს და თან ღრიალებდნენ: „ინოროდეცო რა უფლება გაქვს შენიშვნა გაუკეთო მარლმადიდებელ ეპისკოპოს!“ „ჩუხონელო ბატონო!“ გარეთ გააგდეთ ინოროდეცი!“ „შეუძკერი ურიებს!“ „გაეთრიე აქედან!„ „ეს ღორობაა!“ „რუსის პურით იკვებები და ურიებს კი იცავ!“ და სხვა ამისთანებს გაიძახოდნენ მემარჯვენენი. ეს არ იკმარეს, წამოხტნენ ადგილებიდან და მივარდნენ თავმჯდომარეს ტრიბუნას, მაგრამ ამ დროს ცენტრი და მემარცხენენიც წამოხტნენ, გზა გადაუღობეს მემარჯვენეებს და არ მიუშვეს თავმჯდომარესთან ეს პირისპირ იდგა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი. იდგა დაუსრულებელი ხმაურობა და ყვირილი.

ბოლოს თავმჯდომარემ თავის ადგილს თავი მიანება და გავიდა. იმის განკარგულებით, ბოქაულის თანაშემწეებმა სთხოვეს დეპუტატებს დაშლილიყვნენ, რადგან სხდომა შესწყდაო.

მეორე დღეს, 21 მაისს, სხდომის დაწყებისავსე ამ ინციდენტის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა სათათბიროს თავმჯდომარემ ხომიაკოვმა. მან დიდი შწუხარება გამოსთქვა ინციდენტის გამო და განაცხადა: რაც მესამე სათათბირო არსებობს, ასეთი ამბავი არ მომხდარა: თავმჯდომარეს, თითონ სათათბიროს მიერ არჩეულ თავმჯოომარეს, შეურაცხყოფა მიაყენესო. ბოლოს ხომიაკოვმა სთხოვა სათათბიროს, ერიდოს თავმჯდომარის შეურაცხყოფასაო.

ამ დღეს საინტერესო იყო სიტყვა მარკოვ მეორესი. მან ჩვეულებრივი აზრი წარმოსთქვა: რუსეთი არსებობს იმიტომ, რომ ყველა ხალხი ერთ ხალხად აქციოს (ესე იგი გაარუსოს), ყველა სარწმუნოება ერთ სარწმუნოებად გადაჰმნასო და სხვა. მართლმადიდებელ სარწმუნოებიდან სხვა სარწმუნოებაში გადასვლა ბოროტებაა და მთავრობა უნდა ებრძოლოს ამ ბოროტებასაო. ამასთან ორატორმა ეს საქმე შეადარა ლოთობას, გარყვნილებას, საროსკიპო სახლებს და სხვას, რითაც დიდი შეურაცხყოფა მიაყენა არა მართლმადიდებელ დეპუტატებს. ზოგმა შემდეგ პროტესტიც განაცხადა.

ამავე დღეს ცხარე სიტყვა წარმოსთქვა როდიჩევმა.

სათათბირომ აირჩია ათი კაცი. ხუთმა კანონ-პროექტის წინააღმდეგ უნდა ილაპარაკოს, ხუთმა მის სასარგებლოდ.

ამ დღეს კანონ-პროექტის განხილვა არ დასრულებულა.

შეკითხვა რუსთა კავშირის შესახებ.

27 მაისს სათათბირომ დაათავა შეკითხვის განხილვა, რომელიც შეეხება „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მოქმედებას.

გაბედული სიტყვა წარმოსთქვა მომხსენებელმა ოქტომბრისტმა პროტოპოპოვმა. ეს სიტყვა უფრო შეეფერება მემარცხნეს, ვიდრე ოქტომბრისტს, რომელთა პარტიაც დღემდე ყურ-მოჭრილი მონა იყო მთავრობისა და დღეს ცოტა არ იყოს, მარცხნივ იხევს. ორატორმა ჯერ საჭიროდ სცნო, რომ შეკითხვა უსათუოდ მიღებულ იქნას. მერე სთქვა: მარტო ის, რომ რუსთა კავშირს მებრძოლი რაზმები ჰყავდა და ჰყავს, საკმაოა შეკითხვის მისაღებად. კავშირი თავს მართლულობს —მებრძოლი რაზმებით რევოლიუციას ებრძოლითო. რევოლიუციას თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს. რევოლიუცია შედეგია იმ გულის-წყრომისა და უკმაყოფილებისა, რომელსაც იწვევს თავის დროზე წარდგენილ მოთხოვნილებათა არ აღსრულებაო (ტაში მარცხნივ). დასასრულ, ორატორმა სთქვა: კამათმა შეკითხვა ვერ დაარღვია; რუსთა კავშირის მოქმედება ბურუსით არის მოცული; ბრალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, ამ კავშირის წინააღმდეგ წამოყენებულ, არავინ დაარღვია, ამიტომ შეკითხვა უსათუოდ უნდა მივიღოთო.

მერე ორატორმა ფედოროვმა სთქვა: მე გავეცან „რევოლიუციასთან მებრძოლ კავშირის“ თავმჯდომარე დეზობრის, რომელიც ერთსა და იმავე დროს ამ კავშირის თავმჯდომარედაც იყო და სიდუმლო პოლიციის აგენტადაც. როდესაც დეზობრისთან მივედი, იმის ბინაზე ვნახე ორი ყუთი, რევოლვერებით სავსე. დეზობრიმ სთქვა. 600 რევოლვერი უკვე დაურიგე მუშებსაო. დავესწარ კავშირის კრებასაც, რომელზედაც 70 კაცი იყო. როდესაც თავმჯდომარემ დეზობრიმ წინადადება მისცა კრებას, დაბეჭდოს პარტიულ გაზეთ „სოკოლ“-ში წერილი დაბალ აფიცრების ჯამაგირის მომატების შესახებ, უკან მჯდომმა ერთმა მუშამ წამოიძახა: „მუშების მდგომარეობას როდის ღა გაუმჯობესებთ, ან გლეხებს მიწას როდის მისცემთო“. დეზობრიმ კრება დახურა, უფროსს მუშას უბრძანა, ყველაფერი სუფთად იყოს, თორემ რევოლვერებს წაგართმევთ.ო აი, ასეთი ამბები ხდებოდა კავშირშიო.

შემდეგ ილაპარაკეს მემარჯვენე ბერეზოვსკიმ მეორემ და როდიჩევმა.

როდიჩევის აზრით შეკითხვა მიღებულ უნდა იქნას. სათათბიროს კავშირის მოღვაწეობა კი არ უნდა აინტერესებდეს, არამედ ის, თუ რა თვალით უცქერის მთავრობა ამ მოღვაწეობას. რუსთა კავშირის წევრების და რევოლიუციონერების მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა შორის ის განსხვავებაა, რომ პირველთ მცირე სასჯელი ელოდა, უკანასკნელთ კი სამხედრო საველე სასამართლოები ჰხვრეტავდენ. სათადბიროს წინაშე სწორედ ეს საკითხი იყო დაყენებული: როგორ ეპყრობა მთავრობა სხვა-და-სხვა ბანაკის კაცთა მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ გერცენშტეინის მკვლელობას კავშირის საბჭოსთან საერთო არაფერი აქვსო. საქმეც იმაშია: რომ გვცოდნოდა ყველა გარემოება, პროკურორს შეკითხვით აღარ მივმართავდით. სწორედ იმიტომ მივმართეთ შეკითხვას, რომ ამ საქმის ვითარება ეჭვს გვიღვიძებს, იმიტომ მივმართეთ რომ, როგორც ნამდვილად ვიცით, მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა კავშირის რწმუნებულებთან, რომელთაგან ორი კაცი შემდეგ მკვლელობაში ერია. შესაძლებელია აქ საბჭო არაფერ შუაში იყოს, ამ შემთხვევაში მთავრობამ საქმე სავსებით გამოიძიოს ჩვენთვის და მთელი განათლებული კაცობრიობისათვის საჭიროა გადაწყდეს საკითხი: რამდენად ვრცელია გავლენა იმ ორგანიზაციისა, რომელიც ცეცხლის ფრქვევას და ქვეყნის წალეკას იჩემებს; რამოენად ემორჩილება იგი რუსეთის მთავრობის უფლებას. შესაძლებელია ამ ორგანიზაციას განსაკუთრებული უფლებები ჰქონდეს არა მარტო რევოლვერის ტარებისა, არამედ ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაც კი. ჩვენ წინაშე საზარელი საკითხია: ჩვენი მთავრობა წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც წესიერებას და უფლებას იცავს, ან იმ ძალას, რომელიც სამოქალაქო ბრძოლისთვის ამხედრებს ხალხს? შეკითხვა უნდა მიღებულ იქნას. (ტაში მემარცხნეებისა და ცენტრის ერთი ნაწილისა). ჩხეიძემ სთქვა, რომ რუსეთის ხალხის კავშირი პოლიტიკური პარტიაა, რუსეთის თავად-აზნაურობის იმ ნიწილის ინტერესების დამცველი, რომელიც შესაწვავ ბატებს მოაგონებს კაცს. ჩვენ ბატებს მხოლოდ გახრწნის უნარი აქვთ და არც ერთი სახელმწიფო ფუნქციის შესრულება არ შეუძლიათ.

თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ეს სიტყვები შეკითხვას სრულებით არ შეეხება.

ჩხეიძემ განაგრძო და სთქვა, რომ რუსეთის ხალხის კავშირს არა აქვს ფართო ასპარეზი მოქმედებისთვის და ძალაუნებურად მიმალულია ზურგს უკანიდან უნდა იბრძოლოს. კავშირს რევოლიუციამ ის ადგილი მიუჩინა, სადაც გროვდება რუსეთის ცხოვრების მთელი ნაგავიო.

წვრილმან კანონ-პროექტებიც.

28 მაისის სხდომაზე სათათბირომ მიიღო 15-მდე წვრილმანი კანონ-პროექტი. საინტერესო იყო შემდეგი კანონ-პროექტები: 1. სასკოლო შენობების ასაგებად ფონდის შედგენა (მომავალ წლიდან)

კამათი გათავდა და შეუდგნენ კენჭის ყრას.

სათათბირომ 131 ხმით წინაღმდეგ 87 ხმისა შეკითხვა მიიღო. შეკითხვის წინაღმდეგნი იყვნენ უკიდურესი მემარჯვენენი, ზომიერი მემარჯვენენი და რამდენიმე ოქტომბრისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადაიდოს ექვს ექვსი მილიონი); 2. სახალხო განათლებისათვის დამატებით ექვს მილიონ მანეთის გადადება; 3.სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელთათვის ჯამაგირის მოსამატებლად 4,003,740 მანეთის გადადება; 5: ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების შესანახად ხარჯის გასადიდებლად 500,000 მანეთის გადადება.

სპარსეთის ამბები

შეტაკება რუსის ყაზახებთან.

გაზ. „ბაქუ„-ს ატყობინებენ ჯულფიდან: „სპარსელ რევოლიუციონერების რაზმები თავს იყრიან მარანდსა და ხოიში. ხანდახან მათ შეტაკება მოსდით რუსის ყაზახებთან. მდგომარეობა უარესდება“.

ოსმალეთის ბასუნი.

ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად შეატყობინა სპარვეთის საელჩოს, სანამ რუსეთის ჯარი არ გავა ადერბეიჯანიდან, არც ოსმალეთი გაიყვანს თავის ჯარს იქიდანაო.

ოსმალეთის ჯარი ჩრდილოეთ სპარსეთში.

ურმიიდან მოსულმა სპარსელებმა ამბავი მოიტანეს ტფილისში, რომ ოსმალეთის ჯარმა, მთლად დაიპირა ურმიისა, სალმასისა, კოტურისა, დილმანისა და ხოის ოლქები და თითქმის ყველა სოფელში ჩააყენა თავისი პატარ-პატარა რაზმებიო. ოსმალებმა ყველგან დააარსეს ენჯუმენები, მათ ჩააბარეს საქმეების მართვა-გამგებლობა, თითონ-კი მხოლოდ წესიერებას იცავენ და შაჰის მომხრე ყაჩაღებსა დამცარცველებს სასტიკად ჭლაგმავენო. საცა ოსმალოს ჯარი დგას, ყველგან ჩინებული წესი ჰსუფევს და სპარსელები ძლიერ ემადლიერებიან ოსმალებსაო. ოსმალები ამბობენ, სანამ რუსის ჯარი არ გავა ირანიდგან (სპარსეთიდან), არც ჩვენ წავალთო.

ოსმალეთის საკონსულოში.

ოსმალეთის საკონსულოში ბესტში ჩამჯდარ სპარსელ რევოლიუციონერების რიცხვი თან და თან მატულობს. საკონსულო მთლად გაივსო და კონსულმა მრავალი რევოლიუციონერები მეზობლად დაბინავა კერძო სახლებში, რომელზედაც აღმართა ოსმალეთის ბაირაღები.

ოსმალეთის ქვეშევრდომის დატუსაღების გამო.

ოსმალეთის მთავრობის ბრძანებით, ოსმალეთის კონსულმა თავრიზში ოფიციალურად მოსთხოვა რუსის კონსულს განმარტება ჯულფაში ოსმალეთის ქვეშევრდომის დატუსაღების გამო. დატუსაღებული გამოდგა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წარმომადგენელი ინჟენერი ჯალალ-ედინ-ეფენდი. რუსის კონსულმა უპასუხა, ზოგიერთ ცნობის მიღების შემდეგ გავანთავისუფლებთ ჯალალ-ედინსაო.

სათარ-ხანისა და ბაღირ-ხანის დეპეშა ოსმალეთის პარლამენტისადმი.

სათარ ხანმა და ბაღირ-ხანმა, რომლებიც ეხლა ბესტში სხედან ოსმალეთის საკონსულოშა, შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ოსმალეთის პარლამენტს:

„რადგან უცხოეთის სახელმწიფოები უკანონოდ ერევიან ჩვენს შინაგან საქმეებში, ემუქრიან ჩვენს დამოუკიდებლობასა და ჩვენის მეთაურების ხელუხლებლობას და ლამის მოსპონ ნაყოფი ჩვენის სამწლოვან ბრძოლისა, ჩვენ თავი შევეფარეთ ჩვენს ტომით მონათესავე სახელმწიფოს საკონსულოს და მოვმართავთ თხოვნით ოსმალეთის პარლამენტს—მთელის მუსულმანობის იმედს, და გთხოვთ, ისლამისა და იმ თავისუფლების სახელით რომელსაც თქვენ უკვე იმდენი მსხვერპლი შევსწირეთ, გამოგვიწოდოთ ჩვენ, უმცროს ძმებს, თქვენი ძმური ხელი და გამოგვიყვანოთ ამ აუტანელ მდგომარეობიდან“.

დემონსტრაციები თეირანში.

თუმცა თეირანში სამხედრო წესებია გამოცხადებული, ხალხი მაინც არ ეშვება ამ საშიშ წესებს და ბეჯითად აცხადებს პროტესტს შაჰისა და უცხოეთის სახელმწიფოების წინაღმდეგ.

მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი ინგლისის საელჩოს წინ და დიდი დემონსტრაცია გამართა: მოითხოვა დაუყოვნებლივი შერულება დაპირებულისა, პროტესტი განაცხადა თავრიზსა, კაზვინსა და რეშტში მომხდარ ამბების წინაღმდეგ და ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯითად მოითხოვა უცხოეთის ჯარის გაყვანა სპარსეთიდან:

ინგლისის ელჩი თითონ გავიდა ხალხთან და დაამშვიდა იგი მით, რომ აღუთქვა ყველა წინანდელ დაპირების ასრულება.

ამის შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ გერმანიისა და ოსმალეთის საელჩოებისაკენ, დიდი მანიფესტაცია გამართეს მათ წინ და მადლობა გამოუცხადეს სპარსეთთან მეგობრულ მოქცევისთვის.

შაჰის გაკერპება

შაჰი დღემდე სულთან-აბადში იმყოფება და ყურადღებას არ აქცევს ხალხისა და ელჩების მოთხოვნებას. მან ისევ თავის სასახლეში დაიბარა დათხოვნილი რეაქციონერები ემირბაგადური და მირ-პაშიმი და განუწყვეტლივ ეთათბირება მათ. რუსეთის და ინგლისის ელჩებმა ნოტით მოსთხოვეს შაჰს, მთელ სპარსეთში დაუყონებლივ შეუდგნენ არჩევნებსაო. მაგრამ შაჰმა პასუხიც არ აღირსა ელჩებს. 21 მაისს ინგლისის ელჩი თითონ წავიდა შაჰთან ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად.

აგიტაცია რუსეთის წინააღმდეგ.

„რ. სლ.“-ს თავრიზელი კორესპოდენტი იუწყება: სპარსელები ძლიერ აღელვებულნი არიან. აგიტაციაა გამართული რუსეთის წინააღმდეგ და ამასთან ოსმალეთის სასარგებლოდ, ყოველ დღე მოსალოდნელია სისხლის ღვრა' მეტად საშიში წამია.

სათარ-ხანის და ბაღირ-ხანის ბესტში ჩაჯდომა მოასწავებს დემონსტრაციას გენ. სნარსკის რაზმის წინააღმდეგ.

სომეხთა კათალიკოსის ჩასვლა პეტერბურგში და ხელმწიფესთან წარსდგომა.

*** ვარშავის რკინის გზით პეტერბურგს ჩამოვიდა სომეხთა კათალიკოსი იზმირლიანი. იზმირლიანს თანახლდნენ მთავარ-ეპისკოპოსები ნერსესი და გარეგინი, ეპისკოპოსი აშოტი, არქიმანდრიტები მესროფი და ბაბკენი და სამი სტამბოლელი არქიმანდრიტი. სადგურზე კათალიკოს დაუხვდნენ გარეშე საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი, სომეხთა კოლონის წარმომადგენელნი, რომელთა შორის იყვნენ სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრნი, და აურაცხელი ხალხი. კათოლიკოსი სადგურიდან შევიდა საიმპერატორო ოთახებში, სადაც ცოტა ხან ესაუბრა კოლონის წარმომადგენლებს. ამის შემდეგ კათოლიკოსი ეპისკოპოსების თანხლებით რომელთაც საკათალიკოსო ჯვარი მიჰქონდათ და აგრეთვე სხვა საეკლესიო მსახურთა თანხლებით, გამოვიდა სადგურზე, სადაც მომზადებული იყო კათალიკოსისთვის კარეტა და რამდენიმე ლონდო კვერთხების მატარებელთა და სხვათათვის, იზმირლიანი იზმაილოვის პროსპექტით წავიდა სომეხთა ტაძარში, ნევის პროსპექტზე. ეკლესის წინ ამაღლებული ადგილი იყო წითელ მატერიით გადაკრული. აქვე ეჭირათ ხავერდ გადაკრული ბალდახინი, რომლის თავსაც ჯვარი ამშვენებდა. ბალდახინს იმაგრებდა ვერცხლის ბოძები, რომელიც ხელში ეჭირათ სახელმწიფო საბჭოს წევრს გუკასოვს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ტიგრანოვს და პეტერბურგის სომეხ ვაჭართა მამასახლის მათეუზოვს. კათალიკოს ეკლესიის კარებში დაუხვდა ეკლესის მოძღვარი. ეკლესია მორთული იყო მცენარეებით. კათოლიკოს სიტყვით მიმართა უმცროსმა მღვდელმა, კათალიკოსმა რამდენიმე სიტყვით პასუხი გასცა. ამის შემდეგ კათოლიკოსი შიგნით ოთახებში შევიდა.

*** პეტერგოფის დიდ სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო სრულიად სომეხთა პატრიარქი და კათალიკოსი. სასახლეში მისვლისას კათალიკოსს წინ უძღოდა ორი შიკრიკი, ორი გოფფმეისტერი და კამერფურიერი, აგრეთვე კათალიკოსის მცველნი და ორი არქიმანდრიტი, რომელთაც საპატრიარქო ნიშნები მიჰქონდათ ამ წესით კათალიკოსი შეიყვანეს სასახლის დარბაზში. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე ობერ-ცერემონიმეისტერმა გენდრიკოვმა კათალიკოსი თარჯიმნის თანხლებით შეაცილა სასტუმრო ოთახში, სადაც ხელმწიფე-იმპერატორი იმყოფებოდა. მისმა უდიდებულესობამ შემდეგის სიტყვებით მიმართა კათალიკოსს:

„მოხარული ვარ, რომ ვხედავ თქვენს უწმიდესობას რუსეთის სახელმწიფოს საზღვართა შორის იმ დროს, როცა თქვენ უნდა შეუდგეთ ახალ მოვალეობის ასრულებას. ჩემ წინაპართა მსგავსად, მუდამ კეთილის მსურველი ჩემ სომეხ ქვეშევრდომთა და თქვენდამი რწმუნებულ სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიისა, არ ვეჭვობ, რომ თქენ მომავალ მოღვაწეობის ასპარეზზე ყოველ ღონეს იხმართ თქვენ სამწყსოში ჭეშმარიტად ქრისტიანულ სარწმუნოების გასამტკიცებლად. ამასთან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, როგორც ერთგული შვილი თქვენის ახალ სამშობლოსი, რომელიც გულწრფელად გაგგებათ, აღუძრავთ თქვენ სამწყსოს მშვიდობიან, ზნეობრივ ცხოვრების და კანონიერ მთავრობის მორჩილების სურვილს. ეზრუნავ რა ქრისტიანე ეკკლესის საფუძველზე ახალგაზრდობის განათლებისათვის, მოველი თქვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას თქვენდამი რწმუნებულ სასულიერო სასწავლებლების განკარგების საქმეში კანონიერ საფუძველზე, იმ განზრახვით, რათა მოსწავლეთ ჩაუნერგოთ ერთგულება და სიყვარული ჩვენი საერთო სამშობლოს, რუსეთის სახელმწიფოსი. ჩემმა თქვენ მიმართ ნდობამ, რომლის ძალით ეჩმიაძინის პატრიარქად და სომეხთა ერის კათალიკოსად დაგამტკიცეთ, ძალა შეგმატოსთ თქვენ ოთულ და პასუხ-საგებ მსახურების დროს“.

აუდიენციის შემდეგ ობერ-ცერემონიმეისტერმა გრაფმა გენდრიკოვმა გადასცა ეჩმიაძინის პატრიარქს კათალიკოსად დამტკიცების ქაღალდი და ბრილიანტის ჯვარი. შემდეგ კათალიკოსსა და სომეხთა სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებს თეთრ სასტუმროში ჩაი მიართვეს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* ხელმწიფის შესვედრა. ოთხ ივნის ბალტიის ზღვაში ერთმანეთს ინახულებენ ხელმწიფე იმპერატორი გერმანიისა ვილჰელმი და რუსეთისა ნიკოლოზი ხელმწიფე-იმპერატორს თან ახლდებიან პრემიერ მინისტრი სტოლიპინი და გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი.

* დიდი მიწის ძვრა. როგორც ტფ. ფიზიკურ ობსერვატორიის მიერ აღნიშნულ ნიშნებიდან სჩანს, სადღაც შორს, ტფილისიდან 6 ნახევ. ათას კილომეტრის მანძილზე, დიდი მიწის-ძვრა მომხდარა, ფიქრობენ, რომ მიწის-ძვრა იაპონიისკენ მოხდა.

* ზნე-ჩვეულებათა გამოკვლევა. რუსულ გაზეთების სიტყვით, რუსეთის ეთნოგრაფიულმა და ანტროპოლოგიურმა საზოგადოებამ ტფ. გუბერნიაში პროფ. ხახანაშვილი გამოგზავნა ქართველთა ზნე-ჩვეულებებისა და ხალხურ შემოქმედების გამოსაკვლევად.

* შუამდგომლობა. სარატოვის ეპისკოპოს გერმოგენს და სამღვდელოებას შუამდგომლობა აღუძრავსთ, ნუ დაამტკიცებთ „სტაროობრიადცების“ სარწმუნოების თავისუფლების შესახებ კანონპროექტსო. *)

* მონასტრის სიმდიდრე. სინოდის სამეურნეო მართველობას მონასტრების სიმდიდრის შესახებ შემდეგი ცნობები მიუღია: პირველი ალაგი მონასტრებში სჭერია სერგიევის ლავრას, რომელსაც მარტო ფულად 3 მილიარდი მანეთი ჰქონია, მეორე კიევო-პეჩორის ლავრას, 1 ნახ. მილიარდი მანეთი და მესამე ალექსანდრე ნეველის ლავრას, რომლის წლიური შემოსავალი 1 ნახ. მილიონ მანეთს უდრის თურმე. **)

* სინოდისის თავისუფლება და მღვდლები დეპუტატები. როგორც ვიცით „სტაროობრიადცების“ სარწმუნოების თავისუფლების შესახებ კანონ-პროექტის გარჩევის დროს ოთხმა დეპუტატმა — მღვდელმა კანონპროექტს მისცა ხმა. გაზეთების სიტყვით მემარჯვენეებს გადუწყვეტიათ აღძრან საკითხი, რომ ამ მღვდლებს ეხლავე ჩამოვართვან მრევლი და როდესაც დეპუტატობის დრო გაუვათ, მღვდელლობაც ჩამოართვან.

* დამშეული გლეხები. სახელმწიფო სათათბიროს, ზოგიერთ დეპუტატებს ოლონეცის გუბერნიის გლეხებისგან წერილი მიუღიათ. წერილში სხვათა შორის, სწერია: „მთავრობა ამტკიცებს, რომ ჩვენ მაძღრები ვართ, ნეტარ ცხოვრებას ვატარებთ. მაგრამ რატომ არ ფიქრობს, გამოგზავნოს ვინმე ადგილობრივ და დარწმუნდეს, რომ

---

*) ჩვენ კარგად ვიცნობთ ეპისკოპოს გერმოგენს. გვიკირს, რომ მას და მის სამღვდელოებას არ უთხოვია, რომ ყველა სტაროობრიადცები მის გამგებობას დაექვემდებარონ, დარწმუნებული ვართ რომ იგი ერთ თვეში ყველას შემოუერთდებოდა ჩვენს ეკკლესიას გუბერნატორის დახმარებით...

**) კიევის ლავრის დიდ ძალი ფულები ისესხა ნიკოლოზ პირველმა ყირიმის ომის დროს, მაგრამ ჯერეთ ვგონებ კიდევ გადაუხდელია.

ჩვენ მშვიერება ვიხოცებით, საქონელი თითქმის გავუდეთ, (რადგან საქმელი ჩვენთვის არ გვქონდა და საქონლისთვის რა გვექმია) და ამას ზედ ისიც ემატება, რომ მერმისაც შიმშილი მოგველის. საჭიროა თესლი, რაიც არ მოგვეპოვება. იმას კიდეც არა უშავდა რა, რომ მთავრობას მარტო თესლი მაინც მოეცა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო ხარჯებში ყველაფერი ვაგვიყიდეს და მთელ სოფლობით, ხარჯის შაუტანლობის გამო სატუსალოებში სხედან. მაგრამ მიუხედავად ამისა მთავრობა მაინც დარწმუნებულია, რომ ჩვენ კარგ ცხოვრებაში ვართ„. გლეხები დეპუტატებს სთხოვენ, როგორმე გვიშველეთ და მოგვიხერხეთ, რომ მთავრობამ სესხად თესლი მოგვცესო.

*** წერილი ნამესტნიკთან. „კასპის“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: „სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ჩხეიძემ ნამესტნიკს წერილი გაუგზავნა. ჩხეიძე სთხოვს ნამესტნიკს, მიაქციოს ყურადღება თავ. გიორგი ამილახვრის მოქედებას რომელიც გორის მაზრის ზოგიერთ სოფლის გლეხებს დიდ ფულს ახდევინებს და ამასთან ფულის ასაღებად სასტიკ ზომებს ხმარობსო“

*** 1906 წელს ტფ. ქალაქის გამგეობას დასჭირდა ფული და სპეციალურ თანხის ფასიანი ქაღალდები (96,000 მანეთისა) დაგირავა. გუბერნატორი ქალაქის გამგეობას შეეკითხა, შეგვატყობინეთ რა საქმისათვის დაგჭირდათ ამ ფასიან ქაღალდების დაგირავება და როდის დაიხსნითო.

*** ნიშის კურთხევა. გუშინ, 28 მაისს, საქართველოს ეპარხოსის ნიკონის მოკვლის წლის თავზე, სიონის საკრებულო ტაძარში ბაქოსა და ალავერდის ეპისკოპოსებმა გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. სიტყვა წარმოსთქვა ეპარხოსის მოადგილემ გრიგოლმა და სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ბერ-მონაზონმა ვარლამმა. პანაშვიდის შემდეგ სამღვდელოება და დამსწრენი გაემართნენ სასინოდო კანტორისაკენ და იქ კანტორის კიბეზე, იმ ადგილას, სადაც ეპარხოსი ნიკონი მოჰკლეს, აკურთხეს ნიში. წირვასა, პანაშვიდსა და ნიშის კურთხევას დაესწრენ ნამესტნიკი მეუღლითურთ, ნამესტნიკის თანაშემწენი, ნამესტნიკის საბჭოს წევრნი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, გუბერნატორი, ტფ. ქალ[illegible] მოურავის მოადგილე, ტფ. პატრიოტულ საზოგადოების მეთაურნი და წევრნი.

*** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები „კავკასიის მისლის“ სიტყვით, 4 ივნისს, ლონდონში მიდიან სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატი. ლონდონში წავლენ სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი და კადეტების, ოქტომბრისტების, პოლონელების და პროგრესისტების წარმომადგენლები. დეპუტატებს აზრად აქვთ გაეცნონ ინგლისის პარლამენტის დეპუტატებს და ამით რუსეთის და ინგლისის საზოგადოებანი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. *)

*** „რუსკოე ზნამია“. „რუსკოე ზნამია“ (დუბროვინის გაზეთია) სწერს, რომ ოქტომბრისტებმა იმიტომ დაუჭირეს მხარი „სტაროობრიადცების“ სარწმუნოების თავისუფლების შესახებ კანონპროექტს... რომ „სტაროობრიადცებმა“ მათ ერთი მილიონი მანეთი მისცესო!

ჩინეთის სამხედრო მზადება.

ბლაგოვეშჩენსკიდან ატყობიებენ რუსულ გაზეთებს: მდინარე ამურს გაღმა ჩინელები აგებენ სიმაგრეებს. რუსებს ახლო არ აკარებენ ამ სიმაგრეებს.

მდინარე ამური ჰყოფს რუსეთის და ჩინეთის სამფლობელოებს: ამურის მარცხენა ნაპირი რუსეთს ეკუთვნის, მარჯვენა ჩინეთს.

აქამდე ჩინეთს იარაღი თავის ჯარისთვის სულ უცხოეთიდან შემოჰქონდა. ეხლა ჩინეთის მთავრობა ცდილობს, თავისი საკუთარი არსენალები გააფართოვოს და ამნაირად განთავისუფლდეს უცხოელთა დამოკიდებულებისაგან, რომელიც მეტად საზარალოა ეკონომიურად. მთავრობამ პროექტი შეადგინა, არსენალები შანჰაისა და ხუპეში იმდენად გაფართოვდეს, რომ შეეძლოს ჩინეთის ჯარის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება. ამ პროექტის განსახორციელებლად საჭიროა 10 მილიონი ტაელი.

---

*) ნეტავი აქამდისინ წასულიყვნენ ლონდონში ეს დეპუტატები, იქნება ეხლა შეიტყონ ამ დეპუტატებმა თუ რა განსხვავება არის ჩვენსა და ინგლისის ერის კონსტიტუციურ მმართვა გამგეობაში... რედ.

*** გენერალ გუბერნატორის განკარგულება. ამ უკანასკნელ დროს უვიც და ტვინ-დაბნეულ მოქადაგეთა და მწერალთა წყალობით ჩვენს მდაბალ და გაუნათლებელ საზოგადოებაში ძლიერ სამწუხარო ნიშნები სჩანს ზნე დაცემულობისა, განსაკუთრებით ეკლესიებში. მაგალითად, ხშირი მოვლენაა პაპიროზის წევა, რომელიმე ღვთის მსახურების დროს, ქუდ მოუხდელი დგომა, ხმა მაღლა ლაპარაკი, ცუდი და შეუფერებელი სიცილი, ხუმრობა, ბინძური ოხუნჯობა და ამათი მსგავსი საქციელი განსაკუთრებით ქორწინების შესრულების დროს. ამის გამო გენერალ გუბერატორი უბრძანებს თავის ხელქვეით მეუფოსეთა და დაწესებულებათა, რომ სასტიკი ყურადღება მიაქციონ ამ სამწუხარო მოვლენათა და ქორწინების შესრულების დროს განსაკუთრებით გაგზავნონ ტაძრებში მოხელენი, რომ არავის მისცენ ნება არა თუ ეკლესიაში ზემო ჩამოთვლილი უწესო მოქმედების ჩადენისა, არასედ ეკლესიის გალავანშიაც სასტიკათ აღუკრძალონ და ურჩნი სასჯელს გადასცენ. ამ განკარგულების შესახებ ჩვენ შემდეგში გამოვსთქვამთ ჩვენ აზრს.

*** ეგზამენები. ტფ. სასულიერო სემინარიაში ეგზამენები უკვე დასრულდა. წელს სემინარია დაასრულა მხოლოდ 15 კაცმა, აქედან ათამდე ქართველია.

*** სემანარიის ძველი შენობა. ამ დღეებში ექსარხოსის მოადგილეს უწმ. სინოდის ბრძანება მოუვიდა; რომ სემინარიის ძველი შენობა პუშკინის ქუჩაზე სამღვდელოებას გადაეცითო; ასე რომ სემინარია მომავალ სექტემბრიდან უნდა გადავიდეს ახალ შენობაში ვაკეზე. როგორც წინადაც ვწერდით, სასულიერო მთავრობამ 400,000 მანეთამდე დახარჯა ახალ შენობაზე და ამ შენობაში სამღვდელოებას ძველ შენობასა სთხოვდა. სამღვდელოებამ უარი სთქვა ამაზე. ეხლა ძველი შენობა ქართველ სამღვდელოებას გადასცეს, მაგრამ ამასთან დაავალეს იმ ფულის გადახდა, რომელიც ახალ შენობაზე დაიხარჯა. სინოდი სწერს, საქართველოს სამღვდელოებამ დააგიროაოს პუშკინის ქუჩაზე სახლი და ყოველ წლიურად ანაღდოს ახალ შენობაზე დახარჯული თანხაო, ან-და თუ სამღვდელოება გაჰყიდის თავის შენობას, აღებულ ფულით ახალ შენობის ვალი გაისტუმროსო. ტფილისის სასულიერო სემინარიის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, ეხლავ შეუდგეს მზადებას სემინარიის ახალ შენობაში გადასატანად. „დროება“

სად არსებობს ნეტავი ისეთი კანონი რომ ფულები სასწავლებლის შენობისთვის გადაახდევინონ ერთს, და სხვების შვილები კი გამოზარდონ ამ სასწავლებელში? შენობა იყიდოს ქართველმა სამღვდელოებამ როცა ქართველების შვილები ნახევრობით ვერ ათავებენ კურსს?... ვინ უნდა იზარალოს ის რაც მაშენებლებმა ზედ მეტი დახარჯეს თავის უცოდინარობით და რასაც გამორჩენ თავის სასარგებლოდ ჩვენი ყველასაგან ცნობილი ეკონომი თავის ჩვეულებრივი მოხერხებით და თვალთ მაქცობით?..

განცხადება

ყვირილის გამგე „სორაპნის“ წიგნის მაღაზიისა ღებულობს ყოველგვარ საეკლესიო, და საღმრთო წიგნებს ასაკინძავად. უცვლის სახარებებს ძველ ხავერდს. ფასები ხელმისაწდომია. აქვე იყიდება სკოლების ყოველგვარი სასწავლო ნივთები და სასწავლო წიგნებიც.

Дозволено Цензурою 30 Мая 1909 года г. Кутаисъ
რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 მაისი 1909 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. დამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.